იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი

სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის ვადა
**2026 წლის 1 აპრილს სრულდება.**

კანონთან შესაბამისობაში მოყვანა ვრცელდება **2022 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებულ** ყველა საწარმოსა და საწარმოს ფილიალზე.

## რომელ ბიზნესსუბიექტებზე ვრცელდება სარეგისტრაციო პროცედურის გავლა?

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე;
- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე;
- სააქციო საზოგადოებაზე;
- კომანდიტურ საზოგადოებაზე;
- კოოპერატივზე;
- უცხოური საწარმოს ფილიალზე.

## კანონის მოთხოვნა არ ვრცელდება:

- მეწარმე ფიზიკურ პირებზე - ინდივიდუალურ მეწარმეებზე;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებსა და უცხოურ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფილიალებზე.

## რა დოკუმენტაციის წარდგენაა საჭირო რეგისტრაციის განხორციელებისთვის?

- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის განცხადება;
- საერთო კრების გადაწყვეტილება;
- სათანადო წესით დამოწმებული სადამფუძნებლო შეთანხმება.

## სად არის შესაძლებელი დოკუმენტაციის წარდგენა?

- მთელი ქვეყნის მასშტაბით იუსტიციის სახლებში;
- საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურში;
- ავტორიზებულ პირებთან;
- დისტანციურად ვებგვერდზე **my.gov.ge**

## ! რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ საწარმო 2026 წლის 1 აპრილამდე ვერ მოიყვანს სარეგისტრაციო მონაცემებს კანონთან შესაბამისობაში?

იმ შემთხვევაში, თუ 2026 წლის 1 აპრილამდე საწარმოს/ფილიალს კანონთან შესაბამისობაში არ ექნება მონაცემები მოყვანილი, **მას შეუჩერდება რეგისტრაცია.** მეწარმე სუბიექტს უფლებამოსილება შეეზღუდება: საბანკო ანგარიშის მართვის, საგადასახადო ოპერაციებში მონაწილეობის, ახალი ანგარიშის გახსნის, ანგარიშზე არსებული თანხის განკარგვის, ქონების განკარგვისა და კრედიტის აღების შემთხვევებში.